საინფორმაციო ბიულეტენი #4

დეკემბერი 19, 2022

პროექტი - BSB831 HERIPRENEURSHIP

შავი ზღვის აუზში, UNESCO-ს მიერ დადგენილ ტერიტორიებზე, ტურიზმსა და კულტურულ თუ კრეატიულ ინდუსტრიებში გრძელვადიანი პარტნიორობის დამყარება მემკვიდრეობაზე დაფუძნებული შეთავაზებების განახლებისა და ახალი საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნის მიზნით.

საქართველო: მოდით აღმოვაჩინოთ უნიკალური და ჯერ კიდევ ხელუხლებელი ქვეყანა

საქართველო არის ტრანსკონტინენტური ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის კვეთაზე. იგი კავკასიის რეგიონის ნაწილია, რომელსაც დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით რუსეთი, სამხრეთ-დასავლეთით თურქეთი, სამხრეთით - სომხეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთით აზერბაიჯანი. ქვეყნის ფართობი 69700 კვადრატული კილომეტრია და მოსახლეობა 3,7 მილიონ ადამიანს შეადგენს. ქვეყნის დედაქალაქია თბილისი, რომელიც სიდიდით, ამავდროულად, ქვეყნის უდიდეს ქალაქს წარმოადგენს, სადაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით მესამედი ცხოვრობს.

Common borders. Common solutions.

ის შეიძლება ევროპის ერთ-ერთი ნაკლებად მონახულებადი ქვეყანაა, თუმცა ამ საოცარ ქვეყნაში სტუმრობისას წარუშლელი მოგონებებიბი დაგრჩებათ!

მოდით გადავხედოთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს, რომელიც საქართველოს ასე გამოარჩევს:

1. **საქართველო ღვინის სამშობლოა!** ქართველებს ღვინის დამზადების 8000 წლოვანი ისტორია აქვთ. ტექნიკა, რომელსაც ისინი იყენებენ ღვინის დასამზადებლად და რომელიც მოიაზრებს თიხის ჭურჭელს - ქვევრს, იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშიც კი არის შეტანილი.

2. **ქართველებს ხიბლავთ სტუმრის გამასპინძლება!** მიიჩნევენ, რომ სტუმარი ღვთის საჩუქარია. სუფრის გამართვისას სტუმრებს ხელგაშლილი ხვდებიან, ხოლო „თამადა“ მათ დაპურებასა და განწყობაზე ზრუნავს.

3. **ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი სამი მნიშვნელოვანი ადგილი!** მასში ერთიანდება გელათის მონასტრის ულამაზესი საკათედრო კომპლექსი, უძველესი ქალაქი და ყოფილი დედაქალაქი - მცხეთა, და ზემო სვანეთის მთიანი რეგიონი; ამ ქვეყნის ტერიტორიაზე კიდევ არაერთი ადგილი შესულია იუნესკოს სავარაუდო სიაში.

4. **ქვეყანას გააჩნია საკუთარი დამწერლობა!** ქართულ ენაზე გავლენა იქონია ბერძნულმა და ირანულმა ენებმა. ქართული დამწერლობის ისტორიაში ანბანის სამი სახეობა არსებობდა, თუმცა თანამედროვე ქართულ ანბანში არის 33 ასო.

5. **ქართული მუსიკა პოლიფონიურობით გამოირჩევა!** ის არის ერთგვარი საგუნდო ხალხური მუსიკა, რომელსაც მღერის 2 ან მეტი ადამიანი და მისი ტრადიციები საქართველოში ქრისტიანობის შემოღებამდე ადრე თარიღდება (ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისი).

6. **განსხვავებით დასავლურ ქვეყნებში დამკვიდრებული სახელწოდებისა - "ჯორჯია„ [Georgia], ქართველი ერი ქვეყანას საკუთარი სახელწოდებით მოიხსენიებს!** ადგილობრივები მას საქართველოს უწოდებენ და საკუთარ თავს ქართველებად მოიხსენიებენ რაც, სავარაუდოდ, ქვეყნის ცენტრალური მხარიდან - ქართლიდან მომდინარეობს. ასევე, არსებობს სხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ საიდან მოდის დასავლურ ქვეყნებში დამკვიდრებული ქვეყნის სახელწოდება „ჯორჯია" [Georgia]; კერძოდ, ამ ქვეყნის მფარველი წმინდა გიორგისგან, სასოფლო-სამეურნეო ტომების ბერძნული სახელწოდებიდან „გეორგი" (Georgi) თუ სპარსულ-არაბული სიტყვა გურგისგან (Gurg), რაც ნიშნავს მგლების ქვეყანას.

აღმოაჩინეთ **საქართველო** ჩვენთან ერთად. Heripreneurship-თან ერთად ყველგან იმოგზაურებთ!

HERIPRENEURSHIP-ის პარტნიორები თვალყურს ადევნებდნენ ქართულ საპილოტე პროექტს სამ დღიანი სასწავლო ვიზიტისას.

პროექტის ფარგლებში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (თესაუ) უმასპინძლა სასწავლო ვიზიტს საქართველოში 2022 წლის 27-30 ნოემბერს. ექვსივე ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა მოესინჯათ თესაუ-ს მიერ საპილოტე მარშუტში შემოთავაზებული ზოგიერთი გეოლოკაცია.

28 ნოემბერს პირველ დანიშნულების ადგილს წარმოადგენდა ჯვრისა და სამთავროს მონასტრები, სვეტისხოვლის ეკლესია მცხეთის ირგვლივ, სადაც პარტნიორები, ქრისტიანობის რელიგიური დაძაბულობის ფონზე, ქვეყნის ისტორიულ განვითარებას გაეცნენ.

მეორე დღეს პარტნიორები, გიდის თანხლებით, კახეთის რეგიონის დედაქალაქ თელავს ესტუმრნენ, რათა გაცნობოდნენ ქალაქის მთავარ მახასიათებლებსა და მისი განვითარების დინამიკას საქართველოს ისტორიის ჭრილში. ტურისტულ მარშუტში შედიოდა ცხრაასწლოვანი გიგანტური ჭადრის ხე, მეფე ერეკლე II-ის ძეგლი, ისტორიული მუზეუმის კომპლექსი მრავალფეროვანი ბუნებრივი, საყოფაცხოვრებო და ხალხური გამოფენებით; აგრეთვე, მეფე ერეკლე II-ის სასახლე.

პოლიფონიური მუსიკა არის ის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, რომელსაც ქართველები არამატერიალურ მემკვიდრეობად ასახელებენ და დღემდე ინახავენ. როგორც იუნესკოს მონაპოვარი, ის პროექტის კონცეფციის მატარებელია გამცოდილებისა და ემოციების გადმოცემის დონეზე სხვა აუდიტორიასა და თემებისათვის.

სასწავლო ვიზიტმა გადაინაცვლა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში საერთაშორისო სამუშაო შეხვედრის ფორმატში, სადაც საქართველოს საპილოტე პროექტი წარუდგინეს ადგილობრივი ადმინისტრაციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, ფართო საზოგადოებას და მედიის წარმომადგენლებს კახეთის რეგიონიდან.

მომდევნო შემაჯამებელი სასემინარო და პარტნიორული შეხვედრების ფორმატში მხარეებმა განიხილეს ის მთავარი ღირებულებები და ასპექტები, რითაც ქართული საპილოტე პროექტი თავის წვლილს შეიტანს HERIPRENEURSHIP ფარგლებში ახალი ტურისტული მარშუტების შექმნის საკითხებს შავი ზღვის აუზსა და მის ფარგლებს გარეთ.

ნიკოლას თომაიდისი (საბერძნეთი), პროექტის კოორდინატორი

„იუნესკოს დაცული ძეგლების დახმარებით შეიქმნება პროდუქტი, რომელიც აერთიანებს განათლებასა და გართობას და ხელმისაწვდომი იქნება ყველა ასაკის ტურისტებისათვის. ის თანაბრად საინტერესო იქნება ყველა ასაკის ტურისტებისთვის, შემუშავდება ელექტრონული წიგნი, ასევე მომზადდება საგანმანათლებლო მოდულები გეოლოკაციების შესახებ. დერეფანი გახდება უნიკალური, მულტიმედიური სერვისი შავი ზღვის აუზის ტერიტორიაზე“.

Heripreneurship-ის წევრებმა ისიამოვნეს ტურით, ურთოერთობებითა და საქართველოს შესახებ ბრწყინვალე კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საინტერესო ისტორიების გაცნობით. [illegible]

მოიწონეთ პროექტის Facebook გვერდი!

Heripreneurship ელ-კურსი ოფიციალურად დაიწყო 2022 წლის 3 ოქტომბერს.



HERIPRNEURSHIP-ის ფარგლებში ტრენინგ პროგრამა ოფიციალურად ამოქმედდა 2022 წლის 3 ოქტომბერს. ინფორმაციის მართვის, მონაცემთა და ტენდენცების ვიზუალიზაციისა და მიღწევების მიწოდების მიზნით, პროგრამა უზრუნველყოფს გამოცდილების გაზიარებასა და სწავლის შესაძლებლობებს მემკვიდრეობის მენეჯერებისათვის, ტურიზმისა და CCI ბიზნესებისთვის, აგრეთვე, აუდიო-ვიზუალური და მულტიმედიური ხელოვნების დარგში მოღვაწე პირთათვის.

HERIPRNEURSHIP ელექტრონული კურსი ეფუძნება 6 მოდულ პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური საკითხების გააზრებას, ტურიზმთან, მემკვიდრეობის მენეჯმენტთან, კულტურისა და კრეატიულ ინდუსტრიებთან მიმართებაში. ელექტრონული კურსის ხანგრძლივობაა 6 თვე, 1 მოდულისთვის განკუთვნილია ერთი თვე:

1. ტურიზმის ინდუსტრია.
2. მემკვიდრეობის მენეჯმენტი.
3. ტურიზმის დაგეგმვა.
4. ტურისტული მარკეტინგი.
5. კულტურული კომუნიკაცია.
6. კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიები.

რეალური ისტორიებისა და გამოცდილების გაზიარებისა და ამ დარგში დაგროვილი უახლესი მიღწევების სწავლების გზით, გამოცდილი ფასილიტატორები პროგრამის მონაწილეებს გაუწევენ დახმარებას ინგლისურ ენაზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ აღნიშნულ კურსზე შემდეგი ბმულის საშუალებით:

ტრენინგ პროგრამა HERIPRNEURSHIP-ის ფარგლებში

📍 ტრენინგ პროგრამა განკუთვნილია ტურიზმის სექტორის აქტორებისთვის, აუდიოვიზუალური და მულტიმედიური ხელოვნების სფეროში მოღვაწეთათვის, მემკვიდრეობის მენეჯერებისთვის, კულტურული და კრეატიული ინდუსტრიებისთვის ან ნებისმიერი პირისთვის, რომელიც დაინტერესებულია ჰიბრიდული სწავლის მეთოდოლოგიით.

📍 კურსის ფარგლებში სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა უზრუნველყონ ტურიზმის სექტორში სტრუქტურული ცვლილებები და გააუმჯობესონ გზები, რისი საშალებითაც რესურსები, ინფრასტრუქტურა და ინდივიდები კულტურულ ტურიზმში დაწესებულ მაღალ სტანდარტებს უკავშირდება. კურსის დასასრულს მონაწილეები მიიღებენ სერტიფიკატებს!

ელ-კურსის სწავლების ხანგრძლივობაა 20 კვირა

პროექტის ვებგვერდი

Heripreneurship

Heripreneurship www.facebook.com

Heripreneurship. 304 likes · 24 talking about this. Project title: ESTABLISHING LONG-LASTING PARTNERSHIPS TO UPGRADE HERITAGE-BASED OFFERS AND CREATE NEW INVESTMENT OPPORTUNITIES IN TOURISM AND THE...

ერთობლივი საოპერაციო პროგრამა "შავი ზღვის აუზი 2014-2020"

მასალების რედაქტორი: UBBSLA (ბულგარეთის შავი ზღვის ადგილობრივი ორგანიზაციების კავშირი)

გამოცემის თარიღი: დეკემბერი 2022

ერთობლივი საოპერაციო პროგრამა „შავი ზღვის აუზი 2014-2020" თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტისა და მონაწილე ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვის რესპუბლიკა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა.

აღნიშნული გამოცემა მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, რომლის შინაარსზე ერთადერთი პასუხისმგებელი ორგანოა ბულგარეთის შავი ზღვის ადგილობრივი ორგანიზაციების კავშირი; არ არის აუცილებელი მომზადებული დოკუმენტი ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

Project funded by EUROPEAN UNION

This publication was produced with the financial assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of the Union of Bulgarian Black Sea Local Authorities and do not necessarily reflect the views of the European Union.

Black Sea CROSS BORDER COOPERATION

CROSS BORDER COOPERATION

Black Sea Basin Programme 2014-2020
Directorate-General for Neighbourhood and Enlargement Negotiations